

ქ.თბილისი

2016 წლის 11 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 11 ნოემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათაუწარსადად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურეების გ. ჭიჭინაძის და გ. მიქაბერიძის ოქმი, 6 ნოემბერს, სრკ-ს ეგიდით გამართულ შვიდკაცა რაგბის ტურნირის დროს, თბ „აკადემია“-სა და რუსთავის „ხარები“-ს მატჩის დროს მომხდარი ფაქტი

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

კლუბ რუსთავის „ხარები“-ს წარმომადგენელი ზ. ხუციშვილი აპელირებდა მატჩის მთავარი მსაჯის გადაწყვეტილებებზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ რუსთავის „ხარები“-ს წარმომადგენელი ზ. ხუციშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 11 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ რუსთავის „ხარები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/